

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

მედიის მონიტორინგის შუალედური ანგარიში

ადამიანის უფლებათა ცენტრი

II პერიოდი - 18 ივლისი / 4 სექტემბერი

2011 წ.



მედია მონიტორები: ალექო ცქიტიშვილი

სალომე აჩბა

შორენა ლათათია

თეა თოფურია

მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგის პერიოდი 18 ივლისი - 4 სექტემბერი


მედია მონიტორინგისთვის შეირჩა შემდეგი მედიასაშუალებები:

გაზეთები:

- ❖ გაზეთი „ალია“;
- ❖ გაზეთი „რეზონანსი“;
- ❖ გაზეთი „ახალი თაობა“;
- ❖ საზოგადოებრივი მაუწყებელი (დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“).

მედია მონიტორინგის ხუთკვირიან მონაკვეთში ჯამში გაანალიზდა 44 სიუჟეტი (საერთო დრო - 2 სთ და 36 წთ.) და 230 სტატია (საერთო ფართობი - 58 661 სმ.კვ)

გრაფიკი 1. გამოცემებში სტატიების ფართობი პროცენტულად



სტატიებისა და სიუჟეტების თემატიკა

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული მედიასაშუალებები მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული თემებიდან უმეტესად გამოძიების ეტაპს აშუქებენ. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს „ახალი თაობა“, რომელშიც გამოძიებასთან ერთად სასამართლო პროცესებიც აქტიურად შუქდება. მედიასაშუალებები შედარებით ნაკლებად აშუქებენ სასჯელსრულების დაწესებულებებთან დაკავშირებულ საკითხებსა და პატიმრების უფლებებს. შვიდკვირიანი მონიტორინგის პერიოდში არც ერთ მედიასაშუალებაში არ შეგვხვდრია საგამოძიებო ჟურნალისტიკის მასალები. გაზეთ „ახალ თაობასა“ და „ალიაში“ აქტიურად შუქდებოდა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული გამოუძიებელი ფაქტებიც, ანუ

ისეთი მასალებიც, რომელიც ოფიციალური სტრუქტურების, პროკურატურისა თუ გამოძიების ინფორმაციას არ ეყრდნობა.

სტატიებისა და სიუჟეტების გეოგრაფია

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გადაცემა „მომბე“, ბეჭდურ მედიასთან შედარებით, უფრო მეტად ახერხებს, მოიცვას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მართლმსაჯულების თემის გაშუქებისას. თუმცა, სიუჟეტების თითქმის ნახევარი მაინც თბილისში მომხდარ შემთხვევებს ეხება. აქვე განვმარტავთ, რომ ჩვენმა მონიტორინგმა მოიცვა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მომზადებული მხოლოდ ისეთი სიუჟეტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად საქართველოს მოქალაქებს შეეხებოდა. უცხოური კრიმინალური ქრონიკა მონიტორინგის ინტერესის საგანს, ამჯერად, არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაზეთები, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ მასალებზე მუშაობისას, სტატიებს ძირითადად დედაქალაქიდან ამზადებენ. რეგიონებიდან ან რეგიონებზე მომზადებული სტატიების რაოდენობა „რეზონანსთან“ შედარებით ნაკლებია „ახალ თაობასა“ და „ალიაში“.

სიუჟეტების გაშუქების დრო/ფართობი, ტიპი (პ./ირ.), ტონი

როგორც აღვნიშნეთ, მონიტორინგის პერიოდში გაზეთებსა და „მომბეში“ ყველაზე ხშირად გამოძიების ეტაპი გაშუქდა. ამ მიზეზით, ლოგიკურად, სუბიექტებიდან ყველაზე მეტი სივრცე და დრო სამივე გაზეთში და „მომბეში“ ბრალდებულსა და დაკავებულს (ექვმიტანილს) დაეთმო.

რაც შეეხება გაშუქების ტონს, საინტერესოა, რომ „მომბეში“ სუბიექტებიდან მხოლოდ ადვოკატი, პატრული და დაზარალებული გაშუქდა დადებითი ტონით. სხვა სუბიექტები კი ნეიტრალური ან უარყოფითი ტონით შუქდებოდა. ამ მხრივ, გამოსაყოფია ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და ექვმიტანილების გაშუქების ცალსახად უარყოფითი ტონი. ამ სუბიექტების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში, როგორც წესი, აქცენტი არ კეთდება დაკავებულების ან მსჯავრდებულების უფლებებზე, მათ პრობლემებზე.

რაც შეეხება ბეჭდურ მედიაში სუბიექტების გაშუქების ტონს, გაზეთ „ახალ თაობაში“ სუბიექტები უფრო ხშირად ნეიტრალურად არიან გაშუქებულნი, „რეზონანსში“ კი დადებითად. გაზეთ „ალიაში“ მონიტორინგის დროს ხელისუფლება და ძალოვანი უწყებები უარყოფით ტონში გაშუქდნენ, რაც შეეხება არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციას, გაზეთ „ალიაში“ ისინი უარყოფით ტონში არც ერთხელ არ გაშუქებულან.

„მომბეში“ სუბიექტები ძირითადად თანაბრად არიან, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებულნი. საინტერესოა, რომ ისეთი სუბიექტები, როგორცაა რუსული სპეცსამსახურები და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება, ყოველთვის ირიბად არის გაშუქებული და ისინი მთლიანად უარყოფითი ტონით არიან მოხსენებულნი. ასევე ირიბად შუქდება ისეთი სუბიექტები, რომელთაგან კომენტარის მოპოვება შეუძლებელია, ასეთებია: გაუჩინარებულები და მებნისელები.

ინფორმაციის წყაროები, ბალანსი, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გადაცემა მართლმსაჯულების თემის გაშუქებისას ხშირად ეყრდნობა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მასალებს. „მომხეს“ ჟურნალისტები ამა თუ იმ კრიმინალური ისტორიის გაშუქებისას, ერთი მხრივ, სარგებლობენ უშუალოდ ძალოვანი უწყებების მიერ გადაღებული ვიდეომასალებით, მეორე მხრივ კი მთლიანად იზიარებენ მათ ვერსიებს და ბრალდებებს. ამდენად, ჟურნალისტები ხშირად ბრალმდებლების როლში არიან. მათ მიერ მომზადებულ სიუჟეტებში იკვეთება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნები. ჟურნალისტების განსაკუთრებულად ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის - „ნაციონალური მოძრაობის“ ოპონენტებისადმი იგრძნობა. აქტუალურია თემა - რუსული სპეცსამსახურების და ქართული ოპოზიციური პარტიების თანამშრომლობა. სიუჟეტებში თითქოსდა ბალანსის დაცვის მიზნით, ჟურნალისტს ზოგჯერ შერჩეული ჰყავს ოპოზიციისა და ექსპერტების ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა კომენტარებისგან განსხვავებულ კომენტარებს არ აკეთებენ. რეალურად, ეს კომენტარები სიუჟეტებში გამოყენებულია მმართველი პარტიის მოსაზრებების გასამყარებლად, და არა ობიექტურობის დაცვის მიზნით.

გამორჩეულად ტენდენციური სიუჟეტი „მომხეს“ ჟურნალისტებმა მიუძღვნეს ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული კოლეგების - ე. წ. ფოტორეპორტიორების საქმის გაშუქებას. 18 ივლისს ამ საქმეს „მომხემ“ პირველი სიუჟეტი დაუთმო. სიუჟეტის სათაურშივე ჩანს ჟურნალისტისა და ზოგადად „მომხის“ რედაქციის მიკერძოება: **„გადაბირების ხერხები“**. სიუჟეტი რეკორდულად დიდი - **გრძელდება 20 წუთი (1190 წმ)** და გამოირჩევა დაუბალანსებლობით, შსს-ს და პროკურატურის მიერ გავრცელებული ე. წ. აღიარებითი ვიდეოჩვენებების მანიპულაციით. „მომხეს“ რედაქციას და ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებელს კოლეგიალობის გრძნობაც არ გამოუვლენია დაპატიმრებული კორესპონდენტების მიმართ. დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის მიუხედავად, ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერად გამართულ ჟურნალისტების საპროტესტო აქციებს „მომხე“ მე-12 და მე-17 სიუჟეტებს უთმობდასიუჟეტი „გადაბირების ხერხები“, როგორც ამ სათაურიდანაც ჩანს, აშუქებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციას, რომელიც ცდილობს დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ ფოტორეპორტიორები რუსულმა სპეცსამსახურებმა გადაბირეს. სიუჟეტი მთლიანად ეყრდნობა გიორგი აბდალაძის ე. წ. აღიარებით ჩვენებას, სადაც იგი აცხადებს, რომ 2002 წელს ცხინვალში გაიტაცეს სეპარატისტებმა, სადაც მოხდა მისი გადაბირება ოჯახის წევრების ლიკვიდაციის მუქარით. 1190 წამის ხანგრძლივობის სიუჟეტში გიორგი აბდალაძის ადვოკატს ეკა ბესელიას ირიბად დათმობილი აქვს მხოლოდ 13 წმ, პირდაპირ კი - 23 წმ (**სულ 36 წმ.**).

ამ მხრივ პრობლემები ბეჭდურ მედიაშიც არსებობს. გაზეთები „ალია“, „რეზონანსი“ და „ახალი თაობა“ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ძირითადად, ინფორმაციის წყაროებად იყენებს არასაპარლამენტო ოპოზიციისა და არსამთავრობო სექტორს. სამივე გამოცემაში შეიმჩნევა კომუნიკაციის ნაკლებობა ოფიციალურ სტრუქტურებსა და ჟურნალისტებს შორს. გაზეთებში სახელისუფლებო კომენტარების სიმცირეა. რიგ შემთხვევებში ჟურნალისტები განმარტავენ, რომ სცადეს სახელისუფლებო თუ სამთავრობო კომენტარის მოპოვება, მაგრამ ან ვერ დაუკავშირდნენ კონკრეტულ რესპონდენტებს, ან მათ თავად განაცხადეს უარი ამ გამოცემებისთვის კომენტარის მიცემაზე. ეს ტენდენცია ცალკეულ

სტატიებზე არ ქმნის დიდ პრობლემას, მაგრამ დინამიკაში, როცა თვეების განმავლობაში გაზეთები ვერ ახერხებენ სამთავრობო და სახელისუფლებო კომენტარების მოპოვებას, უკვე იქმნება არაობიექტურობისა და ცალმხრივობის ატმოსფერო.

მონიტორინგისთვის შერჩეულ გაზეთებში, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების დიდ ნაწილში არაა დაცული წყაროთა ბალანსი, არა წარმოდგენილი საპირისპირო, განსხვავებული მოსაზრებები. გაზეთებში კომენტარებს ხშირად ერთი და იგივე პირები აკეთებენ: ეკა ბესელია, შალვა ხაჭაპურიძე, ნანა კაკაბაძე, ქეთი ბექაური.

არაკადემიურობა, არაეთიკურობა

მონიტორინგის განმავლობაში მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით „მოამბეში“ გასულ სიუჟეტებში ჟურნალისტებმა რამდენჯერმე გამოიყენეს არაეთიკური ეპითეტები სუბიექტების გამუქებისას. „მოამბე“ განსაკუთრებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას ოპოზიციური პარტიებისადმი ავლენს. ერთ-ერთ სიუჟეტში „რუსების ოქრო“ - ამ ეპითეტით ჟურნალისტებმა „ქართული პარტიის ლიდერი“ ირაკლი ოქრუაშვილი მოიხსენეს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაზეთ „ახალი თაობისა“ და „რეზონანსისგან“ განსხვავებით, გაზეთ „ალიას“ აკლია აკადემიური სტილი, ეს განსაკუთრებით ინტერვიუებში შეიმჩნევა, რომელიც, როგორც წესი, მეგობრების ჭორაობას უფრო ჰგავს, ვიდრე რესპონდენტისა და ჟურნალისტის საუბარს. (მაგ: 1-5 სექტემბერი „ალია“. გვ. 6. „დემეტრადე რუსეთის ციხეში ძალიან ცუდად არის“). გარდა ამისა, გამოცემაში ხშირად გვხვდება არაეთიკური, შეურაცხმყოფელი ეპითეტები, რომლის ყველაზე ხშირი ადრესატები ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. მათი ნაწილის ავტორებად რესპონდენტები, ნაწილისა კი თავად ჟურნალისტები გვევლინებიან.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნები

მართლმსაჯულების შესახებ „მოამბეში“ გასულ სიუჟეტებსა და „ალიაში“ დაბეჭდილ მასალებში ხშირად შეინიშნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნებიც. ეს პრობლემატიკა განსაკუთრებული სიმწვავეით აისახა 18 ივლისის „მოამბის“ სიუჟეტში, რომლის სათაურიც უკვე ტენდენციურია - „ძალადობა მოზარდზე“. „*მოზარდზე ძალადობის კიდევ ერთი ფაქტი*“; - ასეთი მტკიცებითი ტონით დაიწყო ჟურნალისტმა სიუჟეტი, სადაც ჩანს, რომ ბავშვი, მართალია, საკუთარ მშობლებს ბრალდებებს უყენებს, მაგრამ შესაძლოა, ეს ბრალდებები უსაფუძვლო იყოს. „*არავინ არ სცემს. იტყუება*“; - აცხადებს მამა, „*ერთი შვილი მყავს და რატომ უნდა ვცემო?!*“ - უკვირს დედას. მეზობელი ამბობს: „*ბავშვი ერთს ამბობს, მშობლები მეორეს და მეზობლებმა არ ვიცით, რომელია მართალი*“. სოციალური სააგენტოს წარმომადგენელი კი პირდაპირ აცხადებს: „*ჩვენი ინფორმაციით, ჯერჯერობით არ დგინდება და არ დასტურდება ძალადობის ფაქტები*“. ამგვარად, მხოლოდ მოზარდის ჩვენებაზე დაყრდნობა და ძალადობის ფაქტად გამოცხადება წარმოადგენს მშობლების უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევას. თემა არაკომპეტენტურად, ეთიკის ნორმების დარღვევით არის გაშუქებული. მართალია, „მოამბე“ მოზარდის სახეს არ აჩვენებს, მაგრამ იგი მაინც იდენტიფიცირებულია: სიუჟეტში ნახსენებია მისი სახელი - „მიშიკო“, ნაჩვენებია მშობლები და დასახელებულია ადგილი, სადაც იგი ცხოვრობს. დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის ნორმა, რომლის თანახმად, მოზარდი არ უნდა იყოს იდენტიფიცირებული კრიმინალური ისტორიების ამსახველ

სიუჟეტებში. საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი - სიუჟეტის ავტორმა ჟურნალისტმა კარგად იცის, რომ მოზარდის ჩვენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას იურიდიული ძალა არა აქვს. ერთგან იგი პირდაპირ ამბობს: „სპეციალისტების თქმით, ასეთი შემთხვევების დროს მხოლოდ ბავშვის ნაამბობზე დაყრდნობა არ შეიძლება“. თუ ასეა, რატომ ჰქვია სიუჟეტს სათაურად: „მოზარდზე ძალადობა“?! სიუჟეტის ფინალი უკვე ეწინააღმდეგება დასაწყისს, სადაც დაანონსდა „მოზარდზე ძალადობის კიდევ ერთი ფაქტი“.

მართლმსაჯულებას დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, გაზეთ „ალიაშიც“ შეინიშნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნები. მაგალითად 30 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა მოკლე მასალა სათაურით „ქონების გაყოფის გამო ძმამ ძმა მოკლა“. ჟურნალისტი ისეთი სიცხადით წარმოგვიდგენს მკვლელობის ფაქტს, თითქოს თავად შეესწრო მას. მასალაში ეჭვმიტანილის ვინაობა დაფარული არაა და ჟურნალისტი მას მკვლელად მოიხსენებს, მაშინ როცა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ არსებობს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი: „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“.

26-27 ივლისის „ალიას“ ნომერში დაბეჭდილი მოკლე ინფორმაცია სათაურით „თიანეთში მკვლელობა მოხდა“, მიგვაჩნია, რომ პროფესიული სტანდარტების კუთხით, საუკეთესო „ნიუსია“ მონიტორინგის პერიოდში გამოცემაში დაბეჭდილ მასალებს შორის. მიუხედავად იმისა რომ მკვლელობაში ბრალდებულის ვინაობა, სახელი და გვარი დაფარული არ არის, ჟურნალისტმა შეძლო, მასალა ისე აეგო, რომ არ დაერღვია ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია. მასალა ეყრდნობა შსს-ს ოფიციალურ და თვითმხილველთა ინფორმაციას. ჟურნალისტი მკვლელობის ამბავს ყვება არა ისე, თითქოს თავად შეესწრო ფაქტს, (როგორც ძირითადად ხდება ხოლმე) არამედ ხაზს უსვამს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია თვითმხილველების ნათქვამს ეყრდნობა.

სიძულვილის ენა

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებებიდან ერთ-ერთში „ალიაშიც“ ჩვენ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით მომზადებულ ისეთ მასალასაც წავაწყდით, რომელშიც ჟურნალისტი სიძულვილის ენას იყენებს. 2 აგვისტოს ნომერში გასული მოკლე ინფორმაცია ქობულეთში მომხდარი ინციდენტის შესახებ, ცალსახად სიძულვილის ენის შემცველად მიგვაჩნია. როგორც ჟურნალისტი მასალაში წერს, ქობულეთში ეთნიკურ ნიადაგზე ქართველ და სომეხ ახალგაზრდას შორის შელაპარაკება მოხდა, რის შედეგადაც დაიჭრა ერთ-ერთი მათგანი, როგორც მასალიდან ვიგებთ, ეროვნებით ქართველი. სერიოზული დარღვევაა ამ ინფორმაციის სათაური: „სომეხმა ქართველი დაჭრა, მაგრამ პოლიციამ ეს დაჭრილი დააკავა“ - მიგვაჩნია რომ სტატიის ეს სათაური ცალსახადაა ქსენოფობიური მესიჯის შემცველი. გარდა ამისა, მასალა დაუბალანსებელია, ჟურნალისტი აშკარად მხარეა, ინფორმაცია კი გადაუმოწმებელია. ჟურნალისტი ეყრდნობა ანონიმურ წყაროს - თავის მეგობარს, რომლის ვინაობასაც არ ასახელებს. სტატიაში შეინიშნება ჟურნალისტის ქსენოფობიური განწყობა.

„ადგილობრივი ქართველობის თქმით, სომხებთან ყოველდღიურად იძაბება სიტუაცია, ჩვენი მეზობლები ისე თავხედობენ, თითქოს თვითონ არიან მასპინძლები და ქართველები - სტუმრები. აი ეს მოიტანა ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკამ. სხვათა შორის თითქმის ყოველდღიურად მოგვდის ინფორმაციები, თუ როგორ თავნებობენ უკვე სომხები რეგიონებში“... წერს ჟურნალისტი („ალია“ 2-3 აგვისტო. გვ. 7 „სომეხმა ქართველი დაჭრა, მაგრამ პოლიციამ ეს დაჭრილი დააკავა“)

შეჯამება და რეკომენდაციები

შვიდკვირიანი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რომ შერჩეულ მედიასაშუალებებს, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, აქვთ პრობლემები პროფესიული სტანდარტების კუთხით. მასალები ხშირად არაა დაბალანსებულად და მიუკერძოებლად მომზადებული, არაა ფაქტი და მოსაზრება ერთმანეთისგან გამიჯნული. კიდევ ერთი პრობლემა რაც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, არის ჟურნალისტების კვალიფიციურობის საკითხი. ხშირად, ჩანს რომ ისინი კარგად ვერ ერკვევიან საკითხში, მის სამართლებრივ ასპექტებში, საკანონმდებლო ბაზაში. ჟურნალისტები რიგ შემთხვევებში ერთმანეთში ურევნ სამართლებრივ ტერმინებსაც, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი კარგად ვერ ერკვევიან იმ სფეროში (სამართალში) რომელზეც მუშაობენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, მონიტორინგის შედეგად, მედიასაშუალებებისთვის შემდეგი **რეკომენდაციები** შეიმუშავა:

1. გადამოწმდეს ორ ან მეტ წყაროსთან ყველა ინფორმაცია რაც გადის ეთერში, ან იბეჭდება გაზეთში; გაიმიჯნოს ფაქტი კომენტარისგან; მასალა დაბალანსდეს ინფორმაციის სხვადასხვა, განსხვავებული, საპირისპირო წყაროებით;
2. უფრო სიღრმისეულად, ანალიტიკურად გაშუქდეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული თემები;
3. ამაღლდეს ჟურნალისტების ცოდნის დონე ქართული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის კუთხით;
4. მედიასაშუალება ფრთხილად, დელიკატურად, პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ საკითხებს;
5. სიფრთხილით მოეკიდონ სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას; არასოდეს გამოიყენონ სიძულვილის ენა; სისხლის სამართლის თუ სხვა სახის დანაშაულზე მასალის მომზადებისას, არ გაუსვან ადამიანის რელიგიურ ან ეთნიკურ მიკუთვნებულობას ხაზი; (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ესა თუ ის დანაშაული ჩადენილია ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე)
6. მედიასაშუალებებისთვის, და განსაკუთრებით საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა სკანდალი და სენსაცია, არამედ საზოგადოების, მოქალაქეების ინტერესები;
7. საჭიროა არა მარტო ჟურნალისტების, არამედ, განსაკუთრებით, რედაქტორებისა და პროდიუსერების მუდმივი ტრენინგი, რათა მათ კარგად შეისისხლხორცონ

დაკავებული ადამიანების უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მოზარდთა უფლებების პატივისცემა.